

ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა – გამონაკლისი კერძო სამართლის ზოგადი წესიდან

ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი კერძო სამართლის სუბსტანციური დარგის – სამოქალაქო სამართლისთვის ზოგადი წესია, ხოლო ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა – ე.წ. მკაცრი პასუხისმგებლობა, როგორც მას ანგლო-ამერიკული სამართლის სივრცეში მოიხსენიებენ, ამ წესიდან გამონაკლისი. როგორც ეროვნული, ისე უნიფიცირებული სამართლის დანაწესები ადგენენ სამოქალაქო ბრუნვის მონაწილის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებას იმგვარი ბუნებრივი თუ სოციალური თვისობრიობის მქონე გარემოებების არსებობისას, რაც მას ბრალად არ შეერაცხება, რადგან ბრუნვის საშუალო მონაწილისთვის საჭირო წინდახედულების და გულმოდგინების გამოჩენისას მისთვის მაინც შეუძლებელი იქნებოდა ამ მოვლენის როგორც გათვალისწინება, ისე მისი თავიდან აცილება, ამ გარემოების საგანგებო და დაუძლეველი ხასიათის გამო. აღსანიშნავია, რომ ამგვარი გარემოებების არსებობა ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის მოქმედების სივრცეში ვერ უზრუნველყოფენ პირის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებას. ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე კრედიტორი შესრულების მიღების დაყოვნებისას ანდა მოვალე ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისას, მათი ბრალის მიუხედავად ატარებენ ვალდებულების შესრულების რისკს, ასევე მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელი პასუხისმგებელია საფრთხის წყაროდ მიჩნეული ობიექტით თუ საქმიანობით სხვა პირისთვის მიყენებული ზიანისთვის, მიუხედავად მისი ბრალისა. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის, როგორც კანონით დაშვებული უსამართლობის, შემაკავებლად სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა მოიაზრება, რომელიც ახდენს რა რისკის სოციალიზაციას, ერთის მხრივ, ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის და მეორეს მხრივ, დაზარალებულის ინტერესების დაბალანსების საშუალებად განიხილება.

საკვანძო სიტყვები: ბრალი, მკაცრი პასუხისმგებლობა, შესრულების შეუძლებლობა, ვადის გადაცილება, მომეტებული საფრთხის წყარო, პასუხისმგებლობის დაზღვევა.

სტატია ეძღვნება მანდილოსან პროფესორებს – **თამარ ჩიტომვილს, მარიამ ცისკაძეს, მზია დუნდუას, ირინა აქუბარდიას და მაია კოპალეიშვილს**, რომელთა სიყვარული, გონივრული რჩევები, სიტბო და ამაგი სტუდენტობიდან დღემდე მომყვება, რომელთა თანადგომა, ჩემი ცხოვრების ურთულეს ეტაპზე, დაუვინწყარია.

1. შესავალი

რომის სამართლიდან მოყოლებული თანამედროვე კერძო სამართალში მოქმედებს უნივერსალური ფორმულა: ყველა პასუხს აგებს მხოლოდ საკუთარი ბრალეული მოქმედებით წარმოშობილი ზიანისთვის. ბრალი სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელი პირობაა როგორც სახელშეკრულებო, ისე დელიქტურ სამართალში. თუმცა ამ ზოგად-

* სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მონვეული ლექტორი, თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის წევრი.

დი წესიდან არსებობს გამონაკლისი, ე.წ. მკაცრი პასუხისმგებლობის სახით, რომელიც ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას მოიაზრებს. ამ ვითარებაში პირს პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ შედეგისთვის, ზიანის არსებობისთვის, ისე რომ მისი ბრალის ანუ ბრუნვის საშუალო მონაწილისათვის დამახასიათებელი წინდახედულებისა და გულმოდგინების მოვალეობის დარღვევის საკითხი არ განიხილება. შესაძლოა, ზიანი დადგა მარტივი (*casus*) ან კვალიფიციური შემთხვევითი გარემოების (*force majeure*) წყალობით, რომელიც მოვალის ნებაზე არ არის დამოკიდებული და მის კონტროლს მიღმაა, რაც არის კიდევ ზოგადად პირის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველი, თუმცა მკაცრი პასუხისმგებლობის არსიდან გამომდინარე, ზოგადი წესი ამ შემთხვევაში უმოქმედოა. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას სახელშეკრულებო სამართალში ვხვდებით მაგ. მოვალის ან კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას, ანდა გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ვალდებულების საგნის დაღუპვისას, ხოლო დელიქტურ სამართალში ძირითადად, მომეტებული საფრთხის წყაროს მიერ ზიანის მიყენებისას.

2. პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველები

2.1. *casus* და *force majeure*

ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი (რაც იმას ნიშნავს, რომ პირი პასუხს აგებს მხოლოდ ისეთი ქმედებისთვის, რომელიც მას ჩადენილი აქვს განზრახ ან გაუფრთხილებლად),¹ ყოველი კულტურული მართლწესრიგის ქვაკუთხედი.²

ზოგადი წესის თანახმად, ზიანის ანაზღაურებაზე პირს ვალდებულს ხდის არა თავისთავად ზიანი, არამედ ბრალი. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანის მიყენების ფაქტი საკმარისია მისი ანაზღაურების ვალდებულების მოვალისთვის დასაკისრებლად და მისი ბრალეულობის საკითხი არ არის გადამწყვეტი პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, ადგილი აქვს მკაცრ პასუხისმგებლობას.³ თუ ზიანის დადგომა გამონვეულია ისეთი შემთხვევითი გარემოებით, რაც არ არის დამოკიდებული სამართლის ნორმის დამრღვევის ნებაზე და მისი წარმოშობა მოვალის კონტროლისა და რისკის სფეროს მიღმაა, პირი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება.⁴ ამგვარად, მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების შეუსრულებლობისთვის, თუ დაამტკიცებს, რომ აღნიშნულის მიზეზი იყო დაბრკოლება, რომელიც მის კონტროლს არ ექვემდებარებოდა და ხელშეკრულების დადების მომენტში ის მას ვერ გაითვალისწინებდა, ვერც თავიდან აიცილებდა ან გადალახავდა.⁵ მაგ; საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის (1147-ე მუხლი) თანახმად, მოვალე თავისუფლდება ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ შეუსრულებლობა გამონვეულია გარეგანი მიზეზით, რაც მას ვერ დაბრალდება.⁶

¹ სურგულაძე ივ., ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ., 2001, 27.

² *Покровский И.А., Основные проблемы гражданского права*, М., 1998, 286.

³ *ბაჩიაშვილი ვ.*, მეორადი მოთხოვნები შერეული ტიპის ხელშეკრულების თავისებურების გათვალისწინებით, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თსუ, თბ., 2019, 159.

⁴ *Виндшейд Б., Об обязательствах по римскому праву*, СПб, 1875, 42.

⁵ *ლანდო ო.*, ხელშეკრულების შეუსრულებლობა (დარღვევა), ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, ტ.14, 2013-2014, 111.

⁶ *ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ.*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, რუსული გამოცემიდან თარგმანი *ე.სუმბათაშვილის*, თარგმანის რედ. და ბოლოთქმის ავტორი *ნინიძე თ.*, თბ., 2001, 190.

სამოქალაქო სამართლის დოქტრინა ერთმანეთისგან განასხვავებს უბრალო შემთხვევას – **casus**-ს⁷ და კვალიფიციურ შემთხვევას, დაუძლეველ ძალას – **force majeure**-ს. ეს უკანასკნელი დღეს სრული შეუძლებლობის შემთხვევის აღნიშვნის ადეკვატურ საშუალებად ითვლება.⁸ თანამედროვე სამართლებრივ სისტემებში „ფორსმაჟორი“, რომელიც რომანული ცნებიდან **vis major** (ობიექტური ფაქტორები, რომელიც არ არის დამოკიდებული კონკრეტული პირის ნებაზე)⁹ იღებს სათავეს, ზოგადი სახელშეკრულებო პრინციპის სახით, პასუხისმგებლობის გამომრიცხველი საფუძვლის ფორმით მოქმედებს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ხელშეკრულებით გათვალისწინებული.¹⁰ აღსანიშნავია, რომ როგორც უბრალო, ისე კვალიფიციური შემთხვევა, საგანგებო, განსაკუთრებული ხასიათის, გაუთვალისწინებელი, მოცემულ პირობებში აუცდენელი, გადაუღასავი მოვლენაა და შესრულებას შეუძლებელს ხდის.¹¹ შემთხვევა შინაგანი, ხოლო დაუძლეველი ძალა გარეგანი ხასიათისაა პირის იმ საქმიანობასთან მიმართებით, რასაც უკავშირდება ზიანის წარმოშობა. მათი მთავარი მახასიათებელი არის ის, რომ ვალდებულების შესრულების დამაბრკოლებელი გარემოება მოვალის კონტროლის სფეროს მიღმაა, ანუ მისი წარმოშობის რისკი პირდაპირ არ ეკისრება მოვალეს, ან არ შეიძლება ნაგულისხმევად ეკისრებოდეს ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე.¹² ამასთან, თუ ამ მოვლენათა წინასწარ განჭვრეტა შესაძლებელი იქნებოდა, უბრალო შემთხვევის თავიდან აცილებაც მოხდებოდა (მაგ; მოვაჭრე სუბიექტს რომ სცოდნოდა, მის მიერ შეთავაზებულ საქონელზე მომხმარებელთა მოთხოვნილება შემცირდებოდა, ის აღარ შეიძენდა ახალ საქონელს და ზიანს თავიდან აიცილებდა), ხოლო დაუძლეველი ძალის გარდუვალობა ამ შემთხვევაშიც სახეზე იქნებოდა. დაუძლეველ ძალად მიიჩნევენ როგორც ბუნებრივ კატასტროფებს (წყალდიდობა, მიწისძვრა და ა.შ.), ისე გაუთვალისწინებელ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებს, სოციალურ ცვლილებებს: ინფლაცია, ეკონომიკური კრიზისი, შეიარაღებული კონფლიქტები, ექსპორტის აკრძალვა და სხვა. ასევე, შესრულების შეუძლებლობა შესაძლოა განპირობებული იყოს მოვალის ჯანმრთელობის დაზიანებით ან გარდაცვალებით პერსონალური ვალდებულების შემთხვევაში, შესრულების საგნის განადგურებით და დაზიანებით, მოვალის მხრიდან მასზე უფლების დაკარგვით.¹³

საინტერესოა ქართულ სასამართლო პრაქტიკაში არსებული შემთხვევა, როდესაც მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ფორსმაჟორულ გარემოებად მიჩნეულ იქნა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, რომელიც ხელს შეუშლიდა მათი მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და არცერთი მხარე არ იქნებოდა პასუხისმგებელი ვალდებულების შეუსრულებლობისა ან არაჯეროვანი შესრულებისთვის. აღნიშნული გარემოება მარ-

⁷ ძველ ქართულ სამართალში, მაგ. დავით ბატონიშვილის (ბაგრატიონი) შრომებში, სადაც ბრალის დიფერენცირება ღრმად არის მოცემული, გაუფრთხილებლობის სხვადასხვა სახეებიდან ზოგიერთი შესაძლოა შემთხვევაც (**casus**) იყოს. *სურგულაძე ივ.*, ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ., 2001, 142.

⁸ ტალონი დ., გართულებული შესრულება, *ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“*, ტ.14, 2013-2014, 97.

⁹ *Дождев Д.В.*, Римское частное право, М., 2002, 494.

¹⁰ ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე (შედარებითი ანალიზი), თბ., 2015, 52.

¹¹ *Каплунова Е.С.*, Непреодолимая сила и смежные с ней понятия, Автореферат, Томск-2005.

¹² ჩიტაშვილი ნ., შესრულების გართულებისა და ფორსმაჟორის სამართლებრივი წინაპირობები, *პროფესორ ბესარიონ ზოიძის 60 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული*, რედ.ჭანტურია ლ., ბურდული ი., თბ., 2014, 338.

¹³ *ვაშაკიძე გ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნ. III, ავტორთა კოლექტივი, რედ. ჭანტურია ლ., თბ., 2019, 575.

თლაც დადგა, ჩადენილ იქნა დანაშაული და აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რაც თვისობრივად წარმოადგენს კანონით გათვალისწინებულ ყველაზე საშიშ მართლსაწინააღმდეგო ქცევას, ამდენად, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას.¹⁴

2.2. შესრულების შეუძლებლობა და მისი სახეები

ევროპულ ცივილისტურ დოქტრინაში შემთხვევისა და დაუძლეველი ძალის ტერმინებს ხშირად ანაცვლებს შესრულების შეუძლებლობის ცნება, რომლის სხვადასხვა სახეს გამოყოფენ, კერძოდ: **ბუნებრივ** (შესრულება შეუძლებელია ნივთის განადგურების ან მოვალის გარდაცვალების გამო),¹⁵ **ობიექტურ** (ვალდებულების შესრულება შეუძლებელია არა მარტო კონკრეტული მოვალისთვის, არამედ, ნებისმიერი პირისთვისაც), **სუბიექტურ** (ის დაკავშირებულია მოვალის პიროვნებასთან, მის ფიზიკურ, ფინანსურ, ინტელექტუალურ, ემოციურ თუ სხვა უუნარობასთან),¹⁶ **ფიზიკურ** (ამ დროს შესრულება შეუძლებელია ბუნების კანონების მიხედვით, მაგ; შეპირებული ნივთი ისე განადგურდა, რომ მისი განახლება შეუძლებელია),¹⁷ **ფაქტობრივ** (ის სახეზეა, როდესაც კრედიტორისთვის გადასაცემი ნივთი ან უფლება აღარ არსებობს), **იურიდიულ** (ამ შემთხვევაში პირმა განსაზღვრული საქმიანობა უნდა შეასრულოს, რომელიც აკრძალულია კანონმდებლობით, ან იმგვარი უფლება ან ნივთი უნდა იქნეს გადაცემული, რომელიც სამართლებრივი ბრუნვის მიღმა დგას),¹⁸ **ეკონომიკურ** (ამ დროს ვალდებულებით განსაზღვრული მოქმედება მოვალისთვის ეკონომიკური თვალსაზრისით მიუღებელია. ვალდებულების შესრულება ჯერ კიდევ შესაძლოა, მაგრამ საქმე ეხება არა შესრულების შეუძლებლობას, არამედ შეცვლილი გარემოებების გამო: ფულის ინფლაცია, პროდუქტზე ფასების ზრდა და სხვა, შესრულების გაძნელებას),¹⁹ **მუდმივ** (ამგვარი შეუძლებლობის წინაპირობა მოცემულია მაშინ, როდესაც იგი გარიგების მიზნის მიღწევას ეჭვის ქვეშ აყენებს და მეორე მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების ბოჭვაში დარჩენა ვალდებულების შესრულების დაბრკოლების აღმოფხვრამდე),²⁰ **დროებით** შეუძლებლობას (შეთანხმებული დროისთვის მოვალეს არ შეუძლია ვალდებულების შესრულება, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ, მას ექნება შესრულების შესაძლებლობა),²¹ **სრულ და ნაწილობ-**

¹⁴ საქმე-№3კ/504-01, 25.07.2001, ნაჭყებია ა., სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), თბ., 2014, 138, 140.

¹⁵ ბეგიაშვილი ნ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), ჟურნ. „სარჩევი“, №1(2), 2011, 18.

¹⁶ ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნ.III, ავტორთა კოლექტივი, რედ. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., 2001, 374.

¹⁷ ამგვარი შეუძლებლობა ობიექტური შეუძლებლობის სინონიმია, შესაძლოა, სუბიექტურისაც: მაგ; მოვალეს შეპირებული სამუშაოს შესრულება ავადმყოფობის გამო არ ძალუძს. *Medicus D., Schuldrecht I, Allgemeiner Te; 15Auflage, Munchen, 2004, Rn 366.* მითითებულია: *ზოიძე თ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, ჟურნ. „კერძო სამართლის მიმოხილვა“, №2, 2019, 150.*

¹⁸ კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თბ., 2014, 150.

¹⁹ ლეგაშვილი დ. შეცვლილი გარემოებების გავლენა სახელშეკრულებო ურთიერთობებზე, ჟურნ. „სამართლის ჟურნალი“, №2, 2013, 95.

²⁰ *Palandt-Heinrich*, მოსაზრება მითითებულია: *კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გამოცემა, მთარგმნელები: დარჯანია თ., ჭეჭელაშვილი ზ., რედ. ჩაჩანიძე ე., დარჯანია თ., თოთლაძე ლ., თბ., 2014, 151.*

²¹ *მაისურაძე ა., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გერმანულ და ქართულ სამოქალაქო სამართალში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2, 2013, 43.*

რივ შეუძლებლობას (ამ დროს გადამწყვეტია ხელშეკრულების საგნის ფიზიკური ან იურიდიული გაყოფადობის საკითხი, ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოება, დაკარგა თუ არა ვალდებულების ნაწილობრივმა შესრულებამ კრედიტორისთვის ინტერესი).²²

ფორსმაჟორის ანუ შესრულების არაბრალეული შეუძლებლობის დოქტრინის თანახმად, მოვალე თავისუფლდება სახელშეკრულებო ბოჭვისა და ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან²³ (თუმცა კრედიტორს უფლება აქვს დაცვის ისეთ საშუალებებზე, როგორცაა: საპასუხო შესრულების შეჩერება, ხელშეკრულების შეწყვეტა),²⁴ რადგან არავინ არ არის ვალდებული შეასრულოს ის, რისი შესრულებაც შეუძლებელია. ამასთან, მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მტკიცებით, ფორსმაჟორის კონცეპცია არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ შესრულების აბსოლუტური შეუძლებლობის ცნებით, მან უნდა მოიცვას ხელშეკრულების მხარის კონტროლის მიღმა აღმოცენებული უჩვეულო გარემოებები, რომელთა შედეგების აღმოფხვრა, გონივრული წინდახედულობისა და ყველა სათანადო ზრუნვის მიუხედავად, შეუძლებელია უკიდურესად მძიმე დანახარჯების გარეშე.²⁵

2.3. უნიფიცირებული აქტებით გათვალისწინებული ფორსმაჟორის კონცეპცია

მოვალის ნებისგან დამოუკიდებელი გარემოებების არსებობის დროს, მისი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების შესაძლებლობას ითვალისწინებს როგორც უნიფიცირებული აქტები, ისე ამა თუ იმ ქვეყნის პოზიტიური სამართლის დანაწესები. გაეროს „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის კონვენციის“ (ვენის კონვენცია) თანახმად, ხელშეკრულების მხარე თავისუფლდება ვალდებულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვია: ა) მისი კონტროლის სფეროს მიღმა არსებულმა მოვლენამ, ბ) თუ მხარეს არ ჰქონდა ხელშეკრულების დადების ეტაპზე ამ მოვლენის წარმოშობის გონივრულად გათვალისწინების და გ) ასევე დაბრკოლების ან მისი შედეგების თავიდან აცილების ან მათი დაძლევის შესაძლებლობა.²⁶ ხოლო ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების თანახმად, მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა ჩაითვლება საპატიოდ, თუ იგი დაამტკიცებს, რომ შეუსრულებლობა გამოწვეული იყო დაუძლეველი წინააღმდეგობით და ხელშეკრულების დადების მო-

²² შაკიაშვილი ბ., სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, ავტორეფერატი, თბ., 1998, 11.

²³ ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა, ჟურნ. „სამართლის ჟურნალი“, №2, 2011, 153. სხვა მოსაზრებით, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ვალდებულების დარღვევის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, რომელიც იწვევს მოვალის განთავისუფლებას პირველადი შესრულების ვალდებულებისგან და არა ზოგადად, სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. ამდენად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მოვალეს ეკისრება პირველადი ვალდებულების ნაცვლად სხვა შესრულება, როგორც წესი, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. *Medicus, Schuldrecht I, Allgemeiner Teil, 17, Aufl.C.H.Beck, Munchen, 2006, 114, 294.* მითითებულია: ბეგიაშვილი ნ., რისკის გადასვლის მიმართება ვალდებულების შესრულებასთან (მოძრავ ნივთზე დადებული ხელშეკრულებების მაგალითზე), თბ., 2021, 105.

²⁴ ლანდო ო., ხელშეკრულების შეუსრულებლობა (დარღვევა), ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, ტ.14, 2013-2014, 113.

²⁵ ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება, როგორც ვალდებულების შესრულების გართულების სამართლებრივი შედეგი, ჟურნ. „სამართლის ჟურნალი“, №1, 2014, 206.

²⁶ ჩიტაშვილი ნ., შესრულების გართულებისა და ფორსმაჟორის სამართლებრივი წინაპირობები, პროფესორ ბესარიონ ზოიძის 60 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2014, 326.

მენტში მისი გათვალისწინება, წინააღმდეგობის ან მისი შედეგების თავიდან აცილება თუ დაძლევა, გონივრული თვალსაზრისით მას არ მოეთხოვებოდა (8:108 მუხლი).²⁷

3. მკაცრი პასუხისმგებლობის შემთხვევები

3.1. ზოგადი მიმოხილვა

ზემოთქმულის მიუხედავად, როგორც კონტინენტური ევროპის, ისე საერთო სამართალი, იცნობს პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევებს იმ დროსაც, როცა არსებობს მოვალისაგან დამოუკიდებელი მიზეზები. თუ კონტინენტური ევროპის სამართალში ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა გამონაკლისია საერთო წესიდან, საერთო სამართალში, კერძოდ, სახელშეკრულებო სამართალში, ის ზოგადი პრინციპია. მაგ; ამერიკულ სამართალში ბრალი, როგორც პასუხისმგებლობის პირობა, განიხილება ძირითადად დელიქტურ სამართალში, ხოლო ხელშეკრულების დარღვევისას მოვალისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებისას ბრალის არსებობაზე მითითება სავალდებულო არ არის.²⁸ მნიშვნელობა აქვს არა იმას, მოვალემ ვალდებულება დაარღვია ბრალეულად თუ ბრალის გარეშე, არამედ თავად ხელშეკრულების შეუსრულებლობის ფაქტს.

მკაცრი პასუხისმგებლობა ცნობილია აშშ-ში უხარისხო პროდუქტის მწარმოებლის მიმართ. კერძოდ, მწარმოებლის პასუხისმგებლობის დადგომისთვის დაზარალებულს არ სჭირდება მწარმოებლის ბრალის მტკიცება, საკმარისია პროდუქტის ნაკლისა და მისგან ზიანის მიყენების ფაქტების არსებობა. მწარმოებლის მიმართ ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის პრინციპს იზიარებს გერმანული და ქართული კერძო სამართალიც. გერმანულ სამართალში გამოიკვეთა კონცეპცია, რომლის თანახმად, პირი, რომელიც სხვას ჰპირდება პროდუქტის ამა თუ იმ ხარისხს, პასუხს აგებს ამ პროდუქტით მიყენებული ზიანისთვის.²⁹ ხოლო სსკ-ის 1009-ე მუხლის ცალკეული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე იკვეთება მწარმოებლის მკაცრი პასუხისმგებლობის პრინციპის არსებობა, ამასთან არსებობს ამ პასუხისმგებლობის შემსუბუქების შემთხვევები: პროდუქტის მწარმოებელი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება, თუ ზიანი დადგა დაუძლეველი ძალის შედეგად, მაგ; ძლიერი ქარიშხლის ან მიწისძვრის შედეგად დაზიანდა ელექტროგადამცემი მოწყობილობანი და ძაბვის მოულოდნელი გაზრდისა თუ შემცირების შედეგად მომხმარებელის ქონება დაზიანდა.³⁰

ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას მწარმე სუბიექტთა მიმართ ვალდებულების შეუსრულებლობისას ადგენს, მაგ; ფრანგული და რუსული სამართალი. კერძოდ, ფრანგული სავაჭრო სამართალი ითვალისწინებს ამ წესს, თუ ხელშეკრულებით არ არის დადგენილი პასუხისმგებლობა მხოლოდ ბრალისათვის.³¹ ასევე, რუსეთის სამოქალაქო კოდექსის 401-(3)-ე

²⁷ ევროპული სახელშეკრულებო სამართლის ძირითადი დებულებები, თარგმანი *ზ.ჭეჭელაშვილის*, ქართული კერძო სამართლის კრებული, წ.1, თბ., 2004, 255.

²⁸ *ჭანტურია ლ.*, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ., 2006, 373.

²⁹ *ზოიძე თ.*, ნუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ქართული და გერმანული სამართლის შედარებითი ანალიზი, თბ., 2016, 114-115.

³⁰ *ზოიძე თ.*, ნუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ქართული და გერმანული სამართლის შედარებითი ანალიზი, თბ., 2016, 168.

³¹ *Бушев А.Ю., Макарова О.А., Попондопуло В.Ф.*, Коммерческое право зарубежных стран, М., СПб, 2003, 125.

მუხლის თანახმად, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას, ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, პირი პასუხს აგებს კონტრაქტის წინაშე როგორც ბრალის არსებობისას, ისე დაუძლეველი ძალის მოქმედებით ზიანის დადგომის დროს, თუ ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი არ არის დადგენილი კანონით ან ხელშეკრულებით.³²

სახელშეკრულებო სამართალში ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას სშირად უკავშირებენ მოვალისა და კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებას, გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთის დაღუპვას. ასევე, მკაცრი პასუხისმგებლობა შესაძლოა დადგინდეს ხელშეკრულების განმარტებით, კონკრეტული დათქმით, მოვალის მხრიდან გარკვეული გარანტიის გაცემით, მხარეთა შორის დამკვიდრებული პრაქტიკით, ხოლო დელიქტურ სამართალში პასუხისმგებლობა დადგენილია მომეტებული საფრთხის წყაროს მიერ ზიანის მიყენების ვითარებაში.

3.2. კრედიტორისა და მოვალის მიერ ვადის გადაცილება

როგორც კონტინენტური ევროპის, ისე საერთო სამართლის დოქტრინა თუ კანონმდებლობა აღიარებს შესრულების მიღებაზე უფლებამოსილი პირის (კრედიტორის) და შესრულებაზე ვალდებული სუბიექტის (მოვალის) მკაცრ პასუხისმგებლობას ვადის გადაცილებისას. მიიჩნევა, რომ პირი, რომელიც უფლებამოსილია შესრულების მიღებაზე და მიღებას აყოვნებს, ითვლება ბრალეულად დაყოვნებაში. შესაბამისად, პასუხისმგებელია ნივთის განადგურებისა თუ დაზიანებისათვის, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ ამ შედეგზე პასუხისმგებლობა აწევს მხარეს, ვის ხელშიც ნივთი იმყოფებოდა ან თუ ნივთი მაინც დაიღუპებოდა ყველა შემთხვევაში.³³

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის (1138-ე მუხლის მე-2 წინადადება) თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებით შემძენი ხდება ნივთის მესაკუთრე ხელშეკრულების დადების მომენტიდან, ის არ არის ნივთის მიმართ რისკის მატარებელი მოვალის მიერ ვადის გადაცილების შემთხვევაში.³⁴ ასევე, საერთო სამართლით, ვადის გადაცილებისას მოვალე პასუხისმგებელია ვალდებულების შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაშიც, როცა შეუსრულებლობა მას ბრალად ვერ შეერაცხება, ანუ გამოწვეულია შემთხვევით ან დაუძლეველი ძალით.³⁵

ვადის გადაცილებისას მოვალისა და კრედიტორის მიერ ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც. კერძოდ, 393-ე მუხლის თანახმად, კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილებისას მასვე დაეკისრება უარყოფითი სამართლებრივი შედეგების ტვირთი: ის ვალდებულია, აუნაზღაუროს მოვალეს ხელშეკრულების საგნის შენახვის გამო წარმოშობილი ზედმეტი ხარჯები, კრედიტორს აწევს ნივთის შემთხვევით გაფუჭებისა და დაღუპვის რისკი, ხოლო ფულადი ვალდებულების არსებობისას, მას ერთმევა პროცენტის მიღების უფლება. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას მოვალე მხოლოდ მაშინ არის პასუხისმგებელი ვალდებულების შეუსრულებლობისთვის, თუ შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდება მოვალის განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლო-

³² Гражданское право, I, 2-е изд. Под. ред. Суханова Е.А., М., 2003, 450.

³³ Победоносцев К.П., Курс гражданского права, ч.3, Договоры и обязательства, М., 2002.

³⁴ <Oceanlaw.ru/wp-content/uploads/2018/02/Фр.Кодекс-123> [21.09.2023].

³⁵ ზარანდია თ., სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, თბ., 2005, 127.

ბის გამო. ამასთან, მოვალის მხრიდან შესრულების შეუძლებლობა მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებასთან. თუ საქმის გარემოებებიდან გაირკვევა, რომ მოვალე იმ შემთხვევაშიც ვერ შეასრულებდა ვალდებულებას, კრედიტორს შესრულების მიღების ვადა რომ არ გადაეცილებინა, ნორმით დადგენილი პრივილეგიით მოვალე ვერ ისარგებლებს.³⁶

მოვალის მიერ ვადის გადაცილებისას ბრალის გარეშე პასუხისმგებლობასთან მიმართებით საყურადღებოა საქართველოს სკ-ის ურთიერთსაპირისპირო შინაარსის ორი ნორმა: 401-402-ე მუხლები. 401-ე მუხლით დადგენილია, რომ თუ მოვალე ვალდებულებას არ ასრულებს დროულად და მას ამაში ბრალი არ მიუძღვის, ის არ ითვლება ვადის გადამცილებლად, შესაბამისად, არ ეკისრება მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

ამგვარად, ცნება „ვადის გადაცილება“ გულისხმობს მოვალის მიერ ვადის ბრალეულ გადაცილებას და კრედიტორი უფლებამოსილია, მოითხოვოს შესრულების დაგვიანებით გამონვეული ზიანის ანაზღაურება მხოლოდ მაშინ, თუ მოვალეს მიუძღვის ბრალი ვადის გადაცილებაში.³⁷ ზემოთქმულის საპირისპიროდ სკ-ის 402-ე მუხლი ითვალისწინებს მოვალის პასუხისმგებლობას ვადის გადაცილებისას ბრალის მიუხედავად. კერძოდ, მოვალე პასუხს აგებს შემთხვევითობისთვისაც, თუ არ დაამტკიცებს, რომ ზიანი შეიძლებოდა დამდგარიყო ვალდებულების დროული შესრულების დროსაც. აღნიშნულ ნორმათა შედარებისას გაუგებარია, რა არსობრივი სხვაობაა მათ შორის, რას ემყარება მოვალის მკაცრი პასუხისმგებლობის დანესება. ლოგიკური მოსაზრებით, განსხვავება ზიანის გამომწვევ მიზეზშია, რომელსაც ერთ შემთხვევაში შეადგენს შესრულების დაყოვნება, მეორე შემთხვევაში – შესრულების შეუძლებლობა.

ცივილისტური დოქტრინის თანახმად, შესრულების ვადის გადაცილება სახეზეა იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე არ ასრულებს ვალდებულებას, რომელიც ჯერ კიდევ შესრულებადია, ხოლო თუ გარკვეული გარემოებები შესრულებას შეუძლებელს ხდიან ხანგრძლივი დროის მანძილზე, ვადის გადაცილებაზე აღარ შეიძლება საუბარი, რადგან შესრულების შეუძლებლობა წყვეტს ვადის გადაცილებას.³⁸ თუ **მოვალის მიერ ვადის გადაცილებისას შესრულება ჯერ კიდევ შესაძლებელია, კრედიტორი უფლებამოსილია მოითხოვოს ვალდებულების შესრულების პარალელურად ვადის გადაცილებით დამდგარი ზიანის ანაზღაურება.** ამასთან, ამ ვითარებაში მოვალის ბრალი მისი პასუხისმგებლობის აუცილებელი ელემენტია, ხოლო თუ ვალდებულების შესრულება შეუძლებელი ხდება ვადის გადაცილების შემთხვევაში ნარმოშობილი მოვალისგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო, **მოვალე ვალდებულია ანაზღაუროს როგორც ვადის გადაცილებით, ისე შესრულების შეუძლებლობით**

ნარმოშობილი ზიანი.³⁹ ამასთან, ამ უკანასკნელ შემთხვევაში პასუხისმგებლობა დგება მოვალის ბრალის მიუხედავად.

³⁶ ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნ. III, ავტორთა კოლექტივი, რედ. ქანტურია ლ., თბ., 2019, 575.

³⁷ მაჩალაძე ს., ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას (საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობათა შედარებითი ანალიზი), ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2004, 76.

³⁸ Кётц Х., Лорман Ф., Введение в обязательственное право, В книге: Проблемы гражданского и предпринимательского права Германии, М., 2001, 53.

³⁹ Palandt, Heinrichs, მოსაზრება მითითებულია: მაჩალაძე ს., ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას (საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობათა შედარებითი ანალიზი), ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2004, 95.

რა გარემოებით აიხსნება მოვალის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის დანესება, უბრალო (**casus**) თუ კვალიფიციური (**force majeure**) შემთხვევა ხომ პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების ალიარებული საფუძველია. მართალია, ვადის გადაცილებასა და შესრულების შეუძლებლობას შორის არ არსებობს ადეკვატური მიზეზობრივი კავშირი და შესრულების შეუძლებლობა გამონვეულია ვადის გადაცილების პროცესში წარმომოხილი შემთხვევითი გარემოებებით, რომლის დადგომამაც მოვალეს ბრალი არ მიუძღვის, მაგრამ ვადის გადაცილება, ფაქტობრივად, აბათილებს პასუხისმგებლობის შემსუბუქების შემთხვევებს.

რეალურად პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება არა შემთხვევითობისთვის, არამედ მოვალის იმ ბრალისთვის, რომელიც არსებობდა ვადის გადაცილების ეტაპზე. რადგან შესრულების შეუძლებლობის გამომწვევი გარემოება შესრულების დაყოვნებამდე არ წარმომოხილა, ანუ ვადის გადაცილების მომენტისთვის ვალდებულების შესრულება მოვალის შესაძლებლობის სფეროს განეკუთვნებოდა და მან ვადამოსული ვალდებულება ბრალეულად არ შეასრულა, მას ეკისრება პასუხისმგებლობა შემთხვევითობისთვისაც.

მოვალე, რომელიც დროულად არ ასრულებს ვალდებულებას, პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული პრივილეგიებით ვერ ისარგებლებს. ამ ვითარებაში მოვალისთვის ერთადერთი „გზა ხსნისა“ არის იმის მტკიცება, რომ ვალდებულების დროულად შესრულების შემთხვევაშიც დადგებოდა ზიანი. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ჯერ კიდევ რომის სამართალში **საბინუსისა** და **კასიუსის** მიერ იქნა შეთავაზებული სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე მიბარების ხელშეკრულების შემთხვევისთვის, თუ კი ვალდებულება დაცული იყო კეთილსინდისიერების სარჩელით.⁴⁰ იმ შემთხვევაში კი, თუ მოვალე ვერ დაამტკიცებს მიზეზობრივი კავშირის არარსებობას ვადის გადაცილებასა და შესრულების შეუძლებლობას შორის, მას დაეკისრება პასუხისმგებლობა.⁴¹ აღსანიშნავია, რომ რუსეთის სკ-ის 405-(1)-ე მუხლი აწესრიგებს მოვალის მიერ ვადის გადაცილების შემთხვევას, რომლის თანახმად მოვალე პასუხს აგებს როგორც ვადის გადაცილებით გამომწვეული ზიანისთვის, ისე ამ ვითარებაში შემთხვევით წარმომოხილი გარემოებების შედეგად შესრულების შეუძლებლობის გამო.⁴²

3.3. პასუხისმგებლობა გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთის დაღუპვისას

ვალდებულების შესრულების საგანი შესაძლოა იყოს ინდივიდუალური ან გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთი. პირველ შემთხვევაში სახეზეა ნივთი „უნიკუმი“ ან საერთო გვარიდან გამოყოფილი ნივთი, ხოლო მეორე შემთხვევაში – ნივთები, რომლებიც ხასიათდებიან ისეთი ზოგადი ნიშნებით, როგორიცაა ნივთის ბუნებრივი, ტექნიკური ან ეკონომიკური თვისებები. როგორც წესი, გვაროვნული ნივთები სამოქალაქო ბრუნვაში განისაზღვრება რაოდენობით, ზომით ან წონით, ამ თვისებათა გამო ისინი შეცვლადი ნივთებია.⁴³ ამასთან, გვაროვნული ნივთი შესაძლოა გადაიქცეს ინდივიდუალურ ნივთად, როდესაც მას სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი ნივთების საერთო მასიდან გამოაცალკეებს და პირიქით, მაგ;

⁴⁰ *Дождев Д.В.*, Римское частное право, М., 2002, 501.

⁴¹ *ზოიძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. III, ავტორთა კოლექტივი, რედ. *ჭანტურია ლ.*, *ზოიძე ბ.*, *ნინიძე თ.*, *შენგელია რ.*, *ხეცურიანი ჯ.*, თბ., 2001, 425-426.

⁴² *Комментарий к гражданскому кодексу Российской Федерации*, ч.1, под. ред. *Садикова О.Н.*, М., 1997, 397.

⁴³ *თოთლაძე ლ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, ავტორთა კოლექტივი, რედ. *ჭანტურია ლ.*, თბ., 2018, 6.

ცალკეულ ყუთებში მოთავსებული ინდივიდუალური ხასიათის პროდუქტი ერთმანეთში შერევის შედეგად მოთავსდება საწყობში.⁴⁴

თუ ინდივიდუალური ნივთი არსებობს, შესრულების ვალდებულება ცხებზეა, მისი განადგურების შემთხვევაში ნატურით შესრულების ვალდებულება ქარწყლდება და მხოლოდ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება რჩება, რადგან სხვა, თუნდაც მაღალი ღირებულების ნივთის გადაცემა არ ჩაითვლება შესრულებად და კრედიტორი არ არის ვალდებული მიიღოს სხვა შესრულება.

ხოლო თუ შესრულების საგანი გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთია, მოვალემ ვალდებულება ყოველთვის უნდა შეასრულოს, ამ დროს შესრულების ფარგლები მოიაზრება მოცემული გვარის ყველა ნივთით და მოვალეს შეუძლია ნებისმიერი ნივთი შესთავაზოს კრედიტორს მოცემული გვარიდან.⁴⁵ თანამედროვეობაში არსებული მიდგომა ჯერ კიდევ რომის სამართალში მოცემული პრინციპის: **genus non perit** – გვარი არ კვდება, განსხვავდება.⁴⁶ გვაროვნული ნივთით შესრულების ვალდებულება მხოლოდ მაშინ გაქარწყლდება, როდესაც მოცემული გვარის ნივთები სამოქალაქო ბრუნვიდან საერთოდ გაქრება, ან მათი შექმნა დაკავშირებული იქნება უზომოდ დიდ დანახარჯებთან, რაც სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე მიუღებელი იქნება.⁴⁷

3.4. პასუხისმგებლობა მომეტებული საფრთხის წყაროს მიერ მიყენებული ზიანისათვის

3.4.1. მომეტებული საფრთხის წყაროს არსი

დელიქტურ სამართალში ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის გავრცელებული შემთხვევაა მომეტებული საფრთხის წყაროს მიერ ზიანის მიყენება. საფრთხის ცნება შესაძლებლობის კატეგორიას მიეკუთვნება და გულისხმობს ისეთ მდგომარეობას, რომელიც განსაზღვრულ დროსა და განსაზღვრულ ვითარებაში ზიანის წარმოშობის შესაძლებლობას შეიცავს.⁴⁸ „ზიანის დადგომა უფრო მეტადაა სავარაუდო, ვიდრე მისი არ დადგომა“.⁴⁹ დოქტრინის თანახმად, მომეტებული საფრთხის წყაროს ცნებაში მოიაზრება ის ობიექტები, რომელთა თვისებების გათვალისწინებით შეუძლებელია მათზე ადამიანის მიერ სრული კონტროლის განხორციელება (**ობიექტის თეორია**) ან საქმიანობა, რომელიც ქმნის მომეტებულ საფრთხეს გარშემოცოფთათვის (**საქმიანობის თეორია**)⁵⁰ მიუხედავად წინდახედულების სათანადო ზომების მიღებისა და ტექნიკური უსაფრთხოების წესების დაცვისა.⁵¹ მომეტებულ საფრთხის წყაროდ

⁴⁴ კობახიძე ა., სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 243.

⁴⁵ ცერცვაძე გ., სახელმწიფო სამართალი, ავტორთა კოლექტივი, რედ. ჯუღელი გ., თბ., 2014, 456.

⁴⁶ შოთაძე თ., საწიგნო სამართალი, თბ., 2014, 71.

⁴⁷ ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნ. III, ავტორთა კოლექტივი, რედ. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., 2001, 329.

⁴⁸ წერეთელი თ., საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში, თბ., 2006, 175.

⁴⁹ ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015, 94.

⁵⁰ Флейшиц Е.А., Обязательство из причинения вреда и из неосновательного обогащения, М., 1951, 132.

⁵¹ საერთო სამართლის სისტემაში სასამართლო განსაზღვრავს ამგვარ საქმიანობას შემდეგი გარემოებებიდან გამომდინარე: 1) რისკის ხარისხი ანუ არსებობს თუ არა ზიანის მიყენების მომეტებული რისკი; 2) ადამიანის შესაძლებლობა, შეაჩეროს აღნიშნული საქმიანობიდან გამომდინარე საფრთხე; 3)

მიიჩნევა: სატრანსპორტო საშუალებები,⁵² მაღალი ძაბვის ენერგია, ქიმიური, ბიოლოგიური ნივთიერებები, გარეული ცხოველები და ა.შ.

3.4.2. მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელი და მისი ბრალის არსებობის პრეზუმფცია

სამოქალაქო სამართალი იმ პირებს, რომლებიც მართლზომიერად ახორციელებენ მომეტებული საფრთხის წყაროსთან დაკავშირებულ საქმიანობას, აკისრებს სხვა პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესებისათვის „საშიში“ ობიექტით თუ მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.⁵³ მაგ; გერმანულ სამართალში აღიარებულია რკინიგზის მკაცრი პასუხისმგებლობა. შესაბამისად, ბუნებრივი სტიქიური მოვლენები: წყალდიდობა, ქარბუქი, ზვავები არ ანთავისუფლებენ რკინიგზას პასუხისმგებლობისგან იმ შემთხვევების გარდა, როდესაც უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება არ შეეძლო თვით გულმოდგინედ მოფიქრებულ სიფრთხილის ღონისძიებებს, კერძოდ უსაფრთხოების გამაფრთხილებელი სისტემის გამოყენებას, სიჩქარის დაკლებას.⁵⁴

მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელად არ ითვლება ის, ვინც შრომითი ურთიერთობის საფუძველზე ასრულებს მისი მართვის ფუნქციას. შესაბამისად, დაზარალებულის წინაშე პასუხისმგებელია არა ეს პირი, არამედ წყაროს მფლობელი, რომელსაც თავის მხრივ, შეუძლია რეგრესული მოთხოვნა წაუყენოს მას, თუ ზიანი წარმოიშვა ამ პირის ბრალეული ზემოქმედებით საფრთხის წყაროზე.⁵⁵ იმ შემთხვევაში, თუ მომეტებული საფრთხის წყარო პირდაპირ ან არაპირდაპირ მფლობელობაშია, პასუხისმგებელია პირდაპირი მფლობელი, ხოლო მასზე თანასაკუთრების არსებობისას ის, ვინც ზიანის მიყენების მომენტში ახორციელებდა ფაქტობრივ ბატონობას.⁵⁶

სამოქალაქო სამართალში მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელის ბრალი ივარაუდება. პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება შესაძლებელია, თუ პირი დაამტკიცებს, რომ ზიანი დადგა დაუძლეველი ძალის ან რაიმე სხვა გარეგანი მიზეზის გამო, რაც არ უკავშირდება ნივთს ან მასთან დაკავშირებულ საქმიანობას, დაზარალებულის ბრალეული მოქმე-

მოცემული საქმიანობის უჩვეულო ხასიათი; 4) საქმიანობის განხორციელების ადგილის მიზანშეწონილობა; 5) მოცემული საქმიანობიდან გამომდინარე საზოგადოებრივი სარგებლისა და საზოგადოებრივი საშიშროების ურთიერთმიმართება. *Осаке К., Сравнительное правоведение в схемах. Общая и особенная часть, М., 2002, 268.*

⁵² „ტრანსპორტი“ ლათ. სიტყვაა (*transporto*) და ნიშნავს „გადავაადგილებ“. განიმარტება, როგორც ეკონომიკის, მეურნეობის სფერო, როგორც ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრის გადაყვანის საშუალება. მისგან ნაწარმოები სიტყვა – „ტრანსპორტირება“ გულისხმობს სატრანსპორტო საშუალებით ვინმეს ან რაიმეს გადაადგილებას. განასხვავებენ სატრანსპორტო საშუალების 4 სახეს: სარკინიგზო, საავტომობილო, წყლის (საზღვაო, სამდინარო) და საჰაერო. *გაბჩავაძე შ., საჰაერო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირება, თბ., 2013, 18.*

⁵³ *თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2006, 53. Иванова Ю.А., Эриашвили Н.Д., Радченко Т.В., Основания наступления и содержание ответственности за вред причиненный источником повышенной опасности, ж. „Журнал международного гражданского и торгового права“, №1, 2021, 20.*

⁵⁴ *ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, თბ., 2001, 344.*

⁵⁵ *Майданик Л.А., Сергеева Н.Ю., Материальная ответственность за повреждение здоровья, М., 1953, 30.*

⁵⁶ *Гражданское право, Под.ред. Сергеева А.П., Толстого Ю.К., 4-е изд., т.3, М., 2005, 55.*

დებით⁵⁷ ან სხვა პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებით წყაროს მფლობელის მფლობელობიდან მისი ნების წინააღმდეგ ნივთის გამოსვლის შედეგად (რუსეთის სკ-ის 1079-1-ე მუხლის პირველი წინადადება).⁵⁸ მაგ; ფრანგულ სამართალში ნივთის მფლობელის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლად მიიჩნევა „გარეშე ძალა“, რომელიც გულისხმობს: 1) გარეშე ხასიათის გაუთვალისწინებელი საფუძვლიდან წარმოშობილ გარემოებებს (ფორს-მაჟორი); 2) დაზარალებულის ბრალს; 3) მესამე პირის ბრალს.⁵⁹

3.4.3. სატრანსპორტო საშუალებით სიკეთის ხელყოფის შედეგები

საქართველოს სამოქალაქო სამართალი, კერძოდ დელიქტური სამართლის ნორმები დეტალურად აწესრიგებენ სატრანსპორტო საშუალების, როგორც მომეტებული საფრთხის წყაროს, მიერ პირისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხს. სატრანსპორტო საშუალების მფლობელად მიიჩნევა პირი, ვინც მასზე ფაქტობრივ ბატონობას სამართლებრივი საფუძვლით ახორციელებს. მძღოლი, რომელიც თავად იღებს სარგებელს სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით და ასევე, თავად ქმნის პოტენციურ საფრთხეს საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეთათვის, უფრო მეტად გაიგივებულია მფლობელთან, ვიდრე საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილესთან, რომელთაც მომეტებული საფრთხის წყაროს გამოყენების შედეგად, კუთვნილი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფით მიადგათ ზიანი.⁶⁰ თუ პირი იყენებს სატრანსპორტო საშუალებას მისი მფლობელის ნებართვის გარეშე (უკანონო მფლობელი) და ნივთის გამოყენებით სხვა პირს მიადგება ზიანი, პასუხისმგებლობა დაეკისრება სამართალდამრღვევს და არა სატრანსპორტო საშუალების მფლობელს.⁶¹ ეს უკანასკნელი მხოლოდ მაშინ იქნება ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული, თუ ნივთის გამოყენება შესაძლო გახდა მისი ბრალეული მოქმედებით (მაგ., სატრანსპორტო საშუალების კარი ღიად დატოვა და სხვა).⁶²

კანონით ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა, თუ ზიანი მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას, იმისდა მიუხედავად, ზიანი დადგა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, სატრანსპორტო საშუალების თვითნებურად თუ პირადი მიზნებისთვის გამოყენებისას.⁶³ საქართველოს სკ-ის 999-ე მუხლი ადგენს სატრანსპორტო საშუალების მფლობელის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას მგზავრის გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის ურთიერთობებში დამდგარი ზიანისთვის. კერძოდ, ის ვალდებულია დაზარალებულს ზიანი აუნაზღაუროს, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა. აღნიშნული მკაცრი პასუხისმგებლობის დანესება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სატრანსპორტო საშუალება

⁵⁷ ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, თბ., 2001, 355.

⁵⁸ <ruilaws.ru/gk-rf-chast-2/Razdel IV/glava-59/paragraph-1.statya-1079> [21.09.2023].

⁵⁹ ნულაძე მ., მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლები (კვლევა ქართული და ფრანგული სამართლის მიხედვით), ჟურნ. „სამართლის ჟურნალი“, №1, 2015, 289.

⁶⁰ ჰენშელი ს., სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდთა, თბ., 2009, 202.

⁶¹ ბერეკაშვილი დ., თოდუა მ., ჩაჩავა ს., ძლიერიშვილი ზ., კაზუსის ამოხსნის მეთოდთა სამოქალაქო სამართალში, თბ., 2015, 56.

⁶² ბერეკაშვილი დ., თოდუა მ., ჩაჩავა ს., ძლიერიშვილი ზ., კაზუსის ამოხსნის მეთოდთა სამოქალაქო სამართალში, თბ., 2015, 58.

⁶³ ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბ., 2016, 307.

წარმოადგენს პოტენციურად საშიშ ნივთს, რადგან მისი გამოყენება გარკვეულ საფრთხეს უქმნის საგზაო მოძრაობაში ჩართულ სხვა პირებს. ამასთან, მართლწესრიგი უშვებს რა პოტენციურად საშიში ნივთების გამოყენებას, კომპენსაციის სახით ამკაცრებს იმ პირთა პასუხისმგებლობას, ვინც სარგებელს ღებულობს ამგვარი ნივთების გამოყენებით. ამგვარად, ეს არის პასუხისმგებლობა ნებადართული საფრთხისათვის.⁶⁴

აღსანიშნავია, რომ სატრანსპორტო საშუალების, კერძოდ საჰაერო ხომალდის მფლობელის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას განსაზღვრავს საქართველოს საჰაერო კოდექსი (82-ე მუხლი). ის აწესრიგებს ხომალდის დაზიანებით (ორი ხომალდის შეჯახებისას) გამონვეული ზიანის ანაზღაურების საკითხს: ამ ვითარებაში პასუხისმგებელია გადამყვან-გადამზიდველი მგზავრის გარდაცვალებისა თუ მისი ჯანმრთელობის მოშლის ანდა ხომალდზე მყოფი მესამე პირის ქონებისთვის ზარალის მიყენებისთვის. ამასთან, მას გააჩნია ბრალეული სუბიექტის მიმართ რეგრესული მოთხოვნის უფლება.⁶⁵

4. მომეტებული საფრთხის წყაროს მოქმედება უკიდურესი აუცილებლობის დროს

საინტერესოა შემთხვევა, როდესაც მომეტებული საფრთხის წყარო გვევლინება საფრთხის აცილების იარაღად უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში. მიუხედავად იმისა, რომ როგორც მომეტებული საფრთხის წყაროს გამოყენებით, ისე უკიდურესი აუცილებლობისას მიყენებული ზიანი ანაზღაურდება, ამ უკანასკნელ შემთხვევაში შესაძლოა მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლდეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან ზიანის მიმყენებელი, თუ ეს ვალდებულება შესაბამისი მოცულობით დაეკისრება იმ პირს, ვის ინტერესებშიც მოქმედებდა იგი. ამდენად, მნიშვნელოვანია გაირკვეს, უპირატესად რომელი ნორმები უნდა იქნეს გამოყენებული ზემოხსენებულ ვითარებაში. არსებობს მოსაზრება, რომ თუ უკიდურესი აუცილებლობისას მომეტებული საფრთხის წყაროთი ზიანის მიყენება ხდება შეგნებულად და ზიანის მოცულობას თავიდანვე შეიცნობს მოქმედი სუბიექტი, გამოყენებულ უნდა იქნეს უკიდურესი აუცილებლობის წესები, ხოლო თუ ზიანი დადგა მომეტებული საფრთხის წყაროს სპეციფიკისა და მოსალოდნელი ზიანის მოცულობის შეუგნებლად, პირს პასუხისმგებლობა დაეკისრება დელიქტური სამართლის შესაბამისი ნორმებით, რომლებიც გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანი გამონვეულია მომეტებული საფრთხის წყაროს თავისებურებით და არ ექვემდებარება ადამიანის გონების სრულ კონტროლს.⁶⁶

5. მსჯელობა ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის პრინციპის მართებულობაზე

რამდენად მართებულია პასუხისმგებლობა ბრალის არარსებობისას, მხოლოდ რისკის საფუძველზე? სამოქალაქო სამართლებრივი დოქტრინა რისკის ცნებაში გულისხმობს წინას-

⁶⁴ ჰენშელი ს., სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდთა, თბ., 2009, 192.

⁶⁵ გაბიჩვაძე შ., საჰაერო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირება, თბ., 2013, 187.

⁶⁶ ნინიძე თ., უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების იურიდიული ბუნება, კრებული: „საბჭოთა სამოქალაქო სამართლისა და პროცესის აქტუალური საკითხები“, თბ., 1977, 72-73.

ნარ გაუთვალისწინებელი ქონებრივი ან პირადი ხასიათის არახელსაყრელი შედეგების დადგომის საფრთხეს,⁶⁷ პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას საკუთარი ან სხვა პირთა მოქმედების შედეგთან, ასევე შემთხვევის შედეგთან, რომელიც გამოიხატა უარყოფითი შედეგების დადგომის შეცნობით.⁶⁸ ითვლება, რომ მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელს გაცნობიერებული აქვს საკუთარი მართლზომიერი მოქმედების რისკი, უარყოფითი შედეგების დადგომის ალბათობა. ამ შემთხვევაში რისკი განიხილება როგორც ბრალის მინიმალური ხარისხი,⁶⁹ სწორედ ეს არის ამ პირზე პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.⁷⁰ მკაცრი პასუხისმგებლობის თეორია ემყარება დასაშვები რისკისთვის სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპს ანუ პირი, რომელიც საკუთარი მიზნების მისაღწევად ახორციელებს გარშემოცოფათათვის მაღალი საფრთხისშემცველ საქმიანობას, პასუხს უნდა აგებდეს, თუ ამგვარი რისკი კონკრეტულ ზიანში განსხეულდება.⁷¹ ამგვარად, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის პრინციპს თეორეტიკოსთა ერთი ნაწილი ამართლებს დაზარალებულის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით და მას სამართლის სოციალიზაციის გამოვლენად მიიჩნევს.⁷² მძლავრი ინდუსტრიების შექმნა ზრდის ადამიანთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონებისათვის ზიანის მიყენების შესაძლებლობას. საფრთხის წყაროები საჭიროებენ მკაცრ მონესრიგებას, რამეთუ მათთან დაკავშირებული საქმიანობა არღვევს სოციალურ წესრიგს და ქმნის საფრთხეს მთელი საზოგადოებისთვის.⁷³ ამასთან, ბრალის პრინციპიდან გადახვევა, როცა პასუხისმგებლობა ეკისრება თვით ყველაზე გონიერ ადამიანს, ვინც წინდახედულების ყველა ზომის მიღების მიუხედავად გახდა ზიანის შემთხვევით, მისი ნებისგან დამოუკიდებლად წარმოშობის მიზეზი, გაუმართლებელია ეთიკურად და სამართლიანობის თვალსაზრისით.

6. პასუხისმგებლობის დაზღვევა, როგორც მკაცრი პასუხისმგებლობის დაბალანსების ინსტრუმენტი

გამოსავალი მკაცრი (აბსოლუტური) პასუხისმგებლობის პრინციპის მოქმედებისგან თავის დაღწევისა, პასუხისმგებლობის დაზღვევის ინსტიტუტის არსებობაა, რომელიც ზიანის განაწილების პრინციპს ეფუძნება. მისი დამკვიდრების გარდუვალობაზე სამართალმცოდნეები ჯერ კიდევ მე-20 ს.-ის დასაწყისში მიუთითებდნენ: „Идея страхования стучится в двери

⁶⁷ Собчак А., О некоторых спорных вопросах общей теории правовой ответственности, ж. „Правоведение“, №1, 1968, 55.

⁶⁸ Ойхензихт В.А., Категория риска в советском гражданском праве, ж. „Правоведение“, №5, 1971, 65.

⁶⁹ Гражданское право, I, 2-е изд. Под. ред. Суханова Е.А., М., 2003, 453.

⁷⁰ ერთი მოსაზრებით, სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი მართლსაწინააღმდეგო არაბრალეული მოქმედების განხორციელებისას არის რისკი. Ойхензихт В., Категория риска в советском гражданском праве, ж. „Правоведение“, №5, 1971, 67; ხოლო სხვა მოსაზრებით, ზიანის ანაზღაურება პასუხისმგებლობის ფორმად მიიჩნევა მხოლოდ მაშინ, როცა ის ემყარება ბრალეულ მოქმედებას. Красавчиков О.А., Возмещение вреда, причиненного источником повышенной опасности, М., 1966, 142.

⁷¹ ჩოხელი ნ., კერესელიძე დ., გარემოსათვის საშიში საქმიანობით გამოწვეული ზიანისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხი ქართულ კანონმდებლობაში, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, პირველი-მეორე კვარტალი, 2000, 84.

⁷² Хохлова Г.В., Понятие гражданско-правовой ответственности, В книге: Актуальные проблемы гражданского права, Выпуск 5, под. ред. Витрянского В.В., М., 2002, 72.

⁷³ ნიქარიშვილი კ., ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა ინგლისურ-ამერიკულ სისხლის სამართალში. სამართლებრივი ანომალია თუ რეგულირების ეფექტიანი მექანიზმი, ჟურნ. „სამართალი“, №1, 2000, 70.

нашего сознания... ей принадлежит великое будущее“.⁷⁴ ნესისამებრ, პირი დაზღვევის ხელშეკრულებას აფორმებს სადაზღვევო კომპანიასთან ბუნების დამანგრეველი ძალების ან სხვა მავნე ფაქტორებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად.⁷⁵ **დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად (სსკ-ის 799-ე მუხლის I ნაწილის I წინადადება), ხოლო დამზღვევი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი (პრემია) – (სსკ-ის 799-ე მუხლის II ნაწილი).**

როგორც მთლიანად დაზღვევის, ასევე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის მიზანს წარმოადგენს სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე არსებული ქონებრივი მდგომარეობის აღდგენა. სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება ანუ მზღვეველის მიერ სადაზღვევო საზღაურის გადახდა წარმოადგენს დაზღვევის ძირითად დანიშნულებას, იმავდროულად მზღვეველის მთავარ მოვალეობას.⁷⁶

სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევის თავისებურება ის არის, რომ იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ არაბრალეულად მიყენებული ზიანის ანაზღაურებით, ის ვრცელდება ბრალეულად მიყენებულ ზიანზეც.⁷⁷ ამ შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიას გააჩნია უკუმოთხოვნის უფლება ზიანის მიმყენებლის მიმართ. შესაძლოა, როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის დაზღვევა, რომელსაც გააჩნია ან ნებაყოფლობითი, ან სავალდებულო ხასიათი. ძირითადად, მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელთა პასუხისმგებლობის დაზღვევა ატარებს სავალდებულო დაზღვევის ხასიათს, რაც გამოწვეულია იმით, რომ მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელი ამ ობიექტის თვისებების გამო მეტი რისკის მატარებელია. შესაბამისად, კანონმდებელი ვალდებულია შექმნას უსაფრთხო ბრუნვის პირობები, თუნდაც მოსალოდნელი რისკის ნეიტრალიზაციით. ქონებრივი პასუხისმგებლობის ტრადიციული ინსტიტუტი ხშირად ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული საფრთხის რეალიზაციით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას. პასუხისმგებლობის დაზღვევა ემსახურება როგორც მფლობელის, ისე დაზარალებულის ინტერესების დაცვას. ქონებრივად ხელმოკლე ზიანის მიმყენებელი ნაკლები გარანტიაა დაზარალებულისათვის.⁷⁸ ამ შემთხვევაში, მას უფლება აქვს დამოუკიდებლად მიმართოს მოთხოვნით სადაზღვევო კომპანიას, გადახდისუნარიან მოვალეს.⁷⁹ სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევით შესაძლებელი ხდება სადაზღვევო რისკის სოციალიზაცია და სადაზღვევო ფონდის შექმნით ზიანის ანაზღაურების განაწილება ამ რისკის მატარებელ პირთა წრეზე.⁸⁰ მომეტებული საფრთხის წყაროს, კერძოდ, სატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევას იცნობს გერმანული და ქართული სამართალი, მაგ; კანონი „ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის

⁷⁴ *Покровский И.А.*, Основные проблемы гражданского права, М., 1998, 290.

⁷⁵ *ცისკაძე მ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, ავტორთა კოლექტივი, რედ. *ჭანტურია ლ.*, *ზოიძე ბ.*, *ნინიძე თ.*, *შენგელია რ.*, *ხეცურიანი ჯ.*, თბ., 2001, 106.

⁷⁶ *გვარამია ლ.*, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები, ჟურნ. „სამართალი“, №10-11-12, 2000, 59.

⁷⁷ *ზოიძე ბ.*, ავტომობილის მფლობელთა ქონებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევის საკითხისათვის, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №4, 1984, 24-25.

⁷⁸ *ზოიძე ბ.*, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა ნესრივი საქართველოში, თბ., 2007, 19-20.

⁷⁹ *Медикус Д.*, Отдельные виды обязательств в Германском гражданском уложении. В книге: Проблемы гражданского и предпринимательского права Германии, М., 2001, 150.

⁸⁰ *ზოიძე ბ.*, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა ნესრივი საქართველოში, თბ., 2007, 20.

შესახებ“ (27.06.1997). ამ შემთხვევაში დაზღვევის მიზანია ერთის მხრივ, გაათავისუფლოს ტრანსპორტის მფლობელი იმ ქონებრივი პასუხისმგებლობისგან, რომელიც მას ეკისრება ტრანსპორტის ექსპლოატაციის შედეგად მესამე პირისთვის (დაზარალებული) ზიანის მიყენების გამო, მეორეს მხრივ, უზრუნველყოს დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რაც მისი სიცოცხლის, ჯანმრთელობის და ქონების დაცვის საიმედო გარანტიაა.⁸¹ როგორც სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, ისე მზღვეველი თავისუფლდება ვალდებულებისგან დაზარალებულის წინაშე, თუ სადაზღვევო შემთხვევა გამონვეულია თავად დაზარალებულის განზრახ ქმედებით ან დაუძლეველი ძალით.

ასევე, სატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევას ითვალისწინებს რუსეთის ფედერაციის საჰაერო კოდექსი, რომლის თანახმად, საჰაერო ხომალდის მფლობელი ვალდებულია დაზღვიოს პასუხისმგებლობა იმ ზიანისთვის, რაც შეიძლება მიადგეს მესამე პირთა ან მგზავრთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, მესამე პირთა ქონებას ან მგზავრების ბარგს სატრანსპორტო საშუალების გამოყენების შედეგად.⁸²

ამგვარად, თუ ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის პრინციპი უგულებელყოფს ზიანის მიმყენებლის ინტერესებს და მთლიანად აგებულია დაზარალებულის ინტერესებზე, ქონებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევა, რასაც მართალია, დაზარალებულის ინტერესების დაცვას უკავშირებენ, ფაქტობრივად ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას აუქმებს. პასუხისმგებლობის დაზღვევა მიზნად ისახავს დაიცვას დამზღვევი პირის ეკონომიკური ინტერესი იმ პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლების ხარჯზე, რომელიც შეიძლება მას მესამე პირების წინაშე დაეკისროს.⁸³ მართებულად მიუთითებს ევროპული უნიფიცირებული სამართლის აღიარებული ექსპერტი (*Коциоль*), რომ სოციალური სამართალი ზიანის გადანაწილებით ცხოვრებისეული საქმიანობის დაზღვევის კონტექსტში, მეტი და მეტი ხარისხით აღწევს დაზარალებულის პირადი ზიანის განაწილებას სოციალური დაზღვევის სისტემაზე.⁸⁴

7. დასკვნა

ამგვარად, სამოქალაქო სამართალში პირს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების შეუსრულებლობისთვის, თუ აღნიშნულის მიზეზი იყო ისეთი დაბრკოლება, რომელიც მის კონტროლს არ ექვემდებარებოდა. ასეთად მიიჩნევა დაუძლეველი ძალა-ფორსმაჟორი, რომელსაც ხშირად შესრულების შეუძლებლობის ცნება ანაცვლებს მისი სხვადასხვა სახის არსებობით. ფორსმაჟორის დოქტრინის თანახმად, მოვალე თავისუფლდება შესრულების ვალდებულებისგან და ზიანის ანაზღაურებისგან, რადგან არავინ არ არის ვალდებული შეასრულოს ის, რისი შესრულებაც შეუძლებელია. ვითარება, როდესაც ეს წესი არ მოქმედებს-ინოდება ბრალის გარეშე პასუხისმგებლობად. მაგ, კრედიტორი, რომელიც აყოვნებს შესრულების მიღებას, ბრალის მიუხედავად გარკვეული ტვირთების მატარებელია, მაგ; მას აწევს

⁸¹ ცისკაძე მ., ავტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, I-II კვარტალი, 1999, 66.

⁸² *Коммерческое право России*, под. ред. *Пугинского Б.И.*, М., 1999, 119.

⁸³ *მონონელიძე ნ.*, სუბროგაცია, როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, თბ., 2016, 131.

⁸⁴ *Коциоль Х.*, Гармонизация и фундаментальные вопросы европейского деликтного права, ж. „Вестник гражданского права“, №5, 2017 (т.17). academia.edu/36323157/Translation-of-H-Koziols-Harmonisation-and-Fundamental-Questions-of-European-Tort-law.

ნივთის შემთხვევით დაღუპვის და დაზიანების რისკი, ხოლო მოვალის მიერ ვადის გადაცილების პროცესში წარმოშობილი შემთხვევითი გარემოების არსებობა, რომელიც შესრულებას შეუძლებელს ხდის, მას არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან, რადგან ვადის გადაცილება აბათილებს კანონით დაწესებულ შეღავათს. ასევე, მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელი ამ ობიექტით თუ საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული ზიანისთვის პასუხისმგებელია დაზარალებულთა წინაშე, მიუხედავად იმისა, რომ მან ყველა ზომა მიიღო საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ამგვარად, ბრუნვის ყველაზე წინდახედულსა და გულმოდგინე მონაწილეს, შესაძლოა დაეკისროს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა. კანონით დაშვებული ამ აუცილებელი ბოროტების შემაკავებლად პასუხისმგებლობის დაზღვევის ინსტიტუტი მოიაზრება.

ბიბლიოგრაფია:

1. ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბ., 2016, 307.
2. ბაჩიაშვილი ვ., მეორადი მოთხოვნები შერეული ტიპის ხელშეკრულების თავისებურების გათვალისწინებით, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თსუ, თბ., 2019, 159.
3. ბეგიაშვილი ნ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), ჟურნ. „სარჩევი“, №1(2), 2011, 18.
4. ბეგიაშვილი ნ., რისკის გადასვლის მიმართება ვალდებულების შესრულებასთან (მოძრავ ნივთზე დადებული ხელშეკრულებების მაგალითზე), თბ., 2021, 105.
5. ბერეკაშვილი დ., თოდუა მ., ჩაჩავა ს., ძლიერიშვილი ზ., კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სამოქალაქო სამართალში., თბ., 2015, 56, 58.
6. გაბიჩავაძე შ., საჰაერო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირება, თბ., 2013, 18, 187.
7. გვარამია ლ., სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები, ჟურნ. „სამართალი“, №10-11-12, 2000, 59.
8. ევროპული სახელშეკრულებო სამართლის ძირითადი დებულებები, თარგმანი ზ.ჭეჭელაშვილის, ქართული კერძო სამართლის კრებული, ნ. I, თბ., 2004, 255.
9. ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნ. III, ავტორთა კოლექტივი, რედ. ჭანტურია ლ., თბ., 2019, 575.
10. ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნ. III, ავტორთა კოლექტივი, რედ. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., 2001, 329, 374, 425-426.
11. ზოიძე ბ., ავტომობილის მფლობელთა ქონებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევის საკითხისათვის, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №4, 1984, 24-25.
12. ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბ., 2007, 19-20.
13. ზოიძე თ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, ჟურნ. „კერძო სამართლის მიმოხილვა“, №2, 2019, 150-151.
14. ზოიძე თ., წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ქართული და გერმანული სამართლის შედარებითი ანალიზი, თბ., 2016, 114-115, 168.
15. ზარანდია თ., სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, თბ., 2005, 127.
16. თოთლაძე ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნ. II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, ავტორთა კოლექტივი, რედ. ჭანტურია ლ., თბ., 2018, 6.
17. თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2006, 53.
18. კობახიძე ა., სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 243.

19. კროპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გამოცემა, მთარგმნელები: დარჯანია თ., ჭეჭელაშვილი ზ., რედ. ჩაჩანიძე ე., დარჯანია თ., თოთლაძე ლ., თბ., 2014, 150.
20. ლევაშვილი დ., შეცვლილი გარემოებების გავლენა სახელმეკრულებო ურთიერთობებზე, ჟურნ. „სამართლის ჟურნალი“, №2, 2013, 95.
21. ლანდო ო., ხელშეკრულების შეუსრულებლობა (დარღვევა), ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, ტ.14, 2013-2014, 111, 113.
22. მაისურაძე ა., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გერმანულ და ქართულ სამოქალაქო სამართალში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2, 2013, 43.
23. მონონელიძე ნ., სუბროგაცია, როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, თბ., 2016, 131.
24. მაჩალაძე ს., ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას (საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობათა შედარებითი ანალიზი), ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2004, 76, 95.
25. ნინიძე თ., უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების იურიდიული ბუნება, კრებული: „საბჭოთა სამოქალაქო სამართლისა და პროცესის აქტუალური საკითხები“, თბ., 1977, 72-73.
26. ნაჭყებია ა., სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), თბ., 2014, 138, 140.
27. სურგულაძე ივ., ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ., 2001, 27, 142.
28. ტალონი დ., გართულებული შესრულება, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, ტ.14, 2013-2014, 97.
29. შოთაძე თ., სანივთო სამართალი, თბ., 2014, 71.
30. შაკიაშვილი ბ., სახელმეკრულებო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, ავტორეფერატი, თბ., 1998, 11.
31. ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე (შედარებითი ანალიზი), თბ., 2015, 52.
32. ჩიტაშვილი ნ., შესრულების გართულებისა და ფორსმაჟორის სამართლებრივი წინაპირობები, პროფესორ ბესარიონ ზოიძის 60 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, რედ. ჭანტურია ლ., ბურდული ი., თბ., 2014, 326, 338.
33. ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა, ჟურნ. „სამართლის ჟურნალი“, №2, 2011, 153.
34. ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება, როგორც ვალდებულების შესრულების გართულების სამართლებრივი შედეგი, ჟურნ. „სამართლის ჟურნალი“, №1, 2014, 206.
35. ჩოხელი ნ., კერესელიძე დ., გარემოსათვის საშიში საქმიანობით გამოწვეული ზიანისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხი ქართულ კანონმდებლობაში, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, პირველი-მეორე კვარტალი, 2000, 84.
36. ცისკაძე მ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნ.IV, ტ.II, ავტორთა კოლექტივი, რედ. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., 2001, 106.
37. ცისკაძე მ., ავტორანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, I-II კვარტალი, 1999, 66.
38. ცერცვაძე გ., სახელმეკრულებო სამართალი, ავტორთა კოლექტივი, რედ. ჯუღელი გ., თბ., 2014, 456.

39. ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, რუსული გამოცემიდან თარგმანი ე. სუმბათაშვილის, თარგმანის რედ. და ბოლოთქმის ავტორი ნინიძე თ., თბ., 2001, 190, 344, 355.
40. ცეტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015, 94.
41. ნერეთელი თ., საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში, თბ., 2006, 175.
42. ნიქარიშვილი კ., ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა ინგლისურ-ამერიკულ სისხლის სამართალში. სამართლებრივი ანომალია თუ რეგულირების ეფექტიანი მექანიზმი, ჟურნ. „სამართალი“, №1, 2000, 70.
43. ნულაძე მ., მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლები (კვლევა ქართული და ფრანგული სამართლის მიხედვით), ჟურნ. „სამართლის ჟურნალი“, №1, 2015, 289.
44. ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ., 2006, 373.
45. ჰენშელი ს., სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდოლოგია, თბ., 2009, 192, 202.
46. Бушев А.Ю., Макарова О.А., Попондопуло В.Ф., Коммерческое право зарубежных стран, М., СПб, 2003, 125.
47. Виндшейд Б., Об обязательствах по римскому праву, СПб, 1875, 42.
48. Гражданское право, I, 2-е изд. Под. ред. Суханова Е.А., М., 2003, 450, 453.
49. Гражданское право, Под. ред. Сергеева А.П., Толстого Ю.К., 4-е изд., т.3, М., 2005, 55.
50. Дождѣв Д.В., Римское частное право, М., 2002, 494, 501.
51. Иванова Ю.А., Эриашвили Н.Д., Радченко Т.В., Основания наступления и содержание ответственности за вред причиненный источником повышенной опасности, ж. „Журнал международного гражданского и торгового права“, №1, 2021, 20.
52. Кётц Х., Лорман Ф., Введение в обязательственное право, В книге: Проблемы гражданского и предпринимательского права Германии, М., 2001, 53.
53. Комментарий к гражданскому кодексу Российской Федерации, ч.1, под. ред. Садикова О.Н., М., 1997, 397.
54. Красавчиков О.А., Возмещение вреда, причиненного источником повышенной опасности, М., 1966, 142.
55. Коммерческое право России, под. ред. Пугинского Б.И., М., 1999, 119.
56. Майданик Л.А., Сергеева Н.Ю., Материальная ответственность за повреждение здоровья, М., 1953, 30.
57. Медикус Д., Отдельные виды обязательств в Германском гражданском уложении. В книге: Проблемы гражданского и предпринимательского права Германии, М., 2001, 150.
58. Ойхгензихт В.А., Категория риска в советском гражданском праве, ж. „Правоведение“, №5, 1971, 65, 67.
59. Осаке К., Сравнительное правоведение в схемах. Общая и особенная часть, М., 2002, 268.
60. Покровский И.А., Основные проблемы гражданского права, М., 1998, 286, 290.
61. Собчак А., О некоторых спорных вопросах общей теории правовой ответственности, ж. „Правоведение“, №1, 1968, 55.
62. Флейшиц Е.А., Обязательство из причинения вреда и из неосновательного обогащения, М., 1951, 132.
63. Хохлова Г.В., Понятие гражданско-правовой ответственности, В книге: Актуальные проблемы гражданского права, Выпуск 5, под. ред. Витрянского В.В., М., 2002, 72.

64. Каплунова Е.С., Непреодолимая сила и смежные с ней понятия, Автореферат, Томск-2005, <Dissercat.com/content/nepreodolimaya-sila-i-smezhnye-s-nei-ponyatiya> [21.09.2023].
65. Коциоль Х., Гармонизация и фундаментальные вопросы европейского деликтного права, ж. „Вестник гражданского права“, №5, 2017 (т.17). <academia.edu/36323157/Translation-of-H-Koziols-Harmonisation-and-Fundamental-Questions-of-European-Tort-law> [21.09.2023].
66. Победоносцев К.П., Курс гражданского права, ч.3, Договоры и обязательства, М., 2002.
67. <Oceanlaw.ru/wp-content/uploads/2018/02/Фр.Кодекс-123> [21.09.2023].
68. <rulaws.ru/gk-rf-chast-2/Razdel IV/glava-59/paragraph-1.statya-1079> [21.09.2023].